აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27

14 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პარტიისა და მისი წამომადგენლისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ჩვენი ქვეყანა“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნით განცხადება წარმოადგინა დადგენილი ვადის დარღვევით, კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიას მისი ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება უნდა წარმოედგინა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 44-ე მუხლის პირველი, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 80^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე პოლიტიკურ გაერთიანებას „ჩვენი ქვეყანა“ და მის წარმომადგენელს ნიკოლოზ ღუღუნეიშვილს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე